



დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

აფილირების დოკუმენტი

თბილისი, 2018

I შესავალი : აფილირების ცნება

აფილირების ცნებას განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანება, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ და უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტები (ავტორიზაციის დებულების დანართი N-3), რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდება:

აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ დტსუ-სთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და დტსუ-ში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება მხოლოდ დტსუ-ს;
- აქტიურად არის ჩართული დტსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

II . „აფილირების“ იმპლემენტაცია დტსუ-ში - გულისხმობს აფილირებული პირის და უნივერსიტეტის მხრიდან ყველა (ავტორიზაციის დებულებითა და სტანდარტებით განსაზღვრული) მოთხოვნის დაცვას კერძოდ :

1. აფილირებული პირი ძირითად საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო მუშაობას ახორციელებს დტსუ-ში; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული საქმიანობისთვის (საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო) პირობების შექმნას; და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი შედეგები ავტორიზაციის მიზნებისთვის ეთვლება დტსუ-ს, ერთობლივი (სხვა უნივერსიტეტთან, და/ან სხვა ინსტიტუციასთან) რესურსების გამოყენებისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს .
2. აფილირებული პირისგან უნივერსიტეტი მოელის სტუდენტებისთვის კონსულტაციებსა და კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში აქტიურ ჩართულობას; უზრუნველყოფს აღნიშნული საქმიანობისთვის პირობების შექმნასა და მატერიალურ ანაზღაურებას და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი შედეგები ავტორიზაციის მიზნებისთვის ეთვლება დტსუ-ს. ერთობლივი (სხვა უნივერსიტეტთან, და /ან სხვა ინსტიტუციასთან) რესურსების გამოყენებისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის შეთანხმებასა და ხელშეკრულებებს .
3. აფილირებული პირისგან უნივერსიტეტი მოელის საგანმანათლებლო/სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობისთვის მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას; თავის მხრივ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათ ასეთ ჩართულობას თვითმმართველ ორგანოებში (აკადემიური საბჭო, რექტორის საბჭო, ფაკულტეტის საბჭო , მუდმივმოქმედ ან მიზნობრივ კომიტეტებში) მათი მუშაობით; და/ან ინფორმირებით და/ან

მათი აზრის შესწავლითა და შედეგების მოხსენებით. შესაბამისად, საავტორიზაციო მიზნებისთვის ამ საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება დტსუ-ს .

III. აფილირებული პირის მიერ საზოგადოების განვითარების და ცოდნის გაზიარების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა

1. დტსუ-სთან აფილირებულ პირს ევალება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის წესების შიდა რეგულაციების ცოდნა და ცვლილებების გაცნობა .
2. უნივერსიტეტის აფილირებულ წევრს (ისევე როგორც დტსუ -ს აკადემიური საზოგადოების ნებისმიერ წევრს) ევალება უნივერსიტეტის კარგი რეპუტაციის შენარჩუნება
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აფილირებული პირის საქმიანობით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, თავის მხრივ აფილირებულ პირს არ აქვს უფლება უნივერსიტეტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მისი შეცვლის, დახურვის, გადატანის, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელობის განსაზღვრისათვის, ყოველ კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში შესაძლოა დაიდოს ცალკე შეთანხმება პირობების დეტალიზაციის მიზნით.
4. აფილირების წესის სრულფასოვანი რეალიზაციისთვის უნივერსიტეტის აფილირებულ წევრს აქვს უფლება :
 - ა) პროგრამის/საგანმანათლებლო კურსის (დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი, უპგ) ინიცირების, შემუშავება და განხორციელებაში დახმარების (საჭირო რესურსები, მათ შორის ფინანსური, გადამზადება, ლიტერატურის შესყიდვა, ა.შ) მოთხოვნის.
 - ბ) სადოქტორო პროგრამების ინიცირება შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების (წინასწარი ექსპერტიზა, საჭირო ხელშეკრულებები, ფინანსური ხელშეწყობა, ა.შ) მოთხოვნის.
 - გ) აქვს უფლება შემოიტანოს სამეცნიერო კვლევითი პროექტის განაცხადი და შესაბამისი პროცედურების გავლით მოითხოვოს დაფინანსება/თანადაფინანსება უნივერსიტეტიდან (იხ. კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები . ა.შ. წესები)
 - დ) აქვს უფლება აკადემიური და სამეცნიერო და პროფესიული მოღვაწეობის ყველა საათი ჩაითვალოს შესაბამის დატვირთვაში (წლიური) პედაგოგიური დატვირთვის დტსუ-ს დოკუმენტის (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებისა და რექტორის 2017 წლის 01 დეკემბრის N60 ბრძანებით) მიხედვით -პედაგოგიური დატვირთვის სახეობების შესაბამისად .
 - ე) უნივერსიტეტი მასთან აფილირებულ პირს ეხმარება სამეცნიერო , პროფესიულ , სხვა, საზოგადოებრივ ინტერესზე ფოკუსირებულ (რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას) ასოციაციებში ჩართულობასა და ამ ასოციაციებში მათი აქტიურობების განხორციელებაში (მათ შორის ფინანსურად) .
 - ვ) აფილირებულ პირს უფლება აქვს დტსუ-ს მიერ შემუშავებულ გადამზადების , უსგ და უპგ-ს კურსებში მონაწილეობის და დახელოვნების ყოველგვარი საზღაურის გარეშე ;
 - ზ) აფილირებულ პირს აქვს აკადემიური საზოგადოების წევრებთან , სხვა პროფესიულ ჯგუფებსა და უფრო ფართო საზოგადოებასთან შეხვედრებისთვის ფართის მოთხოვნის უფლება .

თ) აფილირებული პირი შეუზღუდავად მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტსა და/ან ღონისძიებაში.

ი) უნივერსიტეტი ითვალისწინებს აფილირებული პირის სოციალურ საჭიროებებს, ეხმარება ხანგრძლივი ან სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემების დროს; ასევე ითვალისწინებს პირის საზოგადოებრივ და პროფესიულ აქტივობებს; იღებს გონივრულ გადაწყვეტილებებს მისი სამუშაო დატვირთვის (სამეცნიერო, აკად. პროფესიული) ბალანსირებისთვის.

კ) აფილირებულ პირს აქვს უფლება არჩეული/მიწვეული იყოს შესაბამის თვითმმართველ ორგანოებში , ან დაასახელონ ნომინანტი.

ლ) მონაწილეობა მიიღოს რექტორის ან ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში .

მ) ინფორმირებული იყოს აკადემიური საბჭოს დღის წესრიგისა და რეზოლუციების შესახებ.

ნ) აფილირებული პირი აკადემიური დატვირთვის და საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესრულებით (რაც განსაზღვრულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ დებულებით) იღებს აკადემიური თანამდებობის შესაბამისად დამტკიცებულ ანაზღაურებას ყოველთვიური ხელფასის სახით; ასევე აკადემიური თანამდებობის შესაბამისი დატვირთვის ზემოთ (არაუმეტეს დამატებით 300 სთ-ისა წლის განმავლობაში) მისი ჩატარებული ყოველი აკადემიური საათი ანაზღაურდება დამატებით ზ/ა ხელფასისა.

IV აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება

1. დტსუ-ში აკადემიური თანამდებობის მქონე პირის აფილირება ხდება, როგორც აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის სურვილის დაფიქსირებისას, ასევე წესის მიღებისას აკადემიური თანამდებობის მქონე პირების მიერ შესაბამისი აფილირების შეთანხმების ხელმოწერით დადასტურებით;
2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტის მიერ დტსუ-სთან აფილირებაზე წინასწარ გაცხადებული თანხმობა, საკონკურსო კომისიის მიერ, თანაბარი მონაცემების მქონე კანდიდატთა შერჩევისას, შესაძლოა მიჩნეული იქნას კონკურსანტებს შორის უპირატესობის მინიჭების საფუძველად, რის თაობაზეც კონკურსანტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებული (საკონკურსო პირობები).
3. კონკურსანტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირის უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.
4. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდ-სთან, ის შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, თუმცა შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით.

V გარდამავალ პერიოდში აფილირების წესი და პირობები

1. დტსუ - ში წესის ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობის მქონე პირები ვალდებული არიან დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია აფილირების შესახებ, დტსუ-ს უფლებამოსილი პირის მოთხოვნისთანავე.
2. წესის ამოქმედებამდე დტსუ-ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირის მიერ აფილირების შეთანხმების ხელმოწერა იმავდროულად ადასტურებს მის ინფორმირებულობას და წინასწარ თანხმობას მონაწილეობა მიიღონ „პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ“

დებულების შემუშავებაში, ხოლო დამტკიცებისა და ძალაში შესვლის შემდეგ ამ დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

3. აკადემური თანამდებობის მქონე პირის მიერ აფილირების შეთანხმებაზე უარის შემთხვევაში, იგი აკადემური თანამდებობის არჩევითობის სამართლებრივი ხასიათისა და შინაარსიდან გამომდინარე, რჩება დაკავებულ თანამდებობაზე არჩევის ვადითა და პირადი განცხადებით მისი შეწყვეტის მოთხოვნამდე, თუმცა მისი შრომითი უფლებები და ველდებულებები გათანაბრებულია მოწვეული პედაგოგის შრომით ურთიერთობებთან.